საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2655 2020 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიეცეს წინასწარი თანხმობა, სააგენტოს სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში განთავსებული ბენეფიციარების საჭიროებისათვის სხვადასხვა მინერალური სასმელის (CPV 15900000) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების

შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფის“ (პროგრამული კოდი - 27 02 05) საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**